

# პროფესიული უნარების ტესტი

## II ვარიანტი

### ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის და ღიადაბოლოებიანი დავალებები (სულ 44 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დანერგეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



\* ზოგიერთი დავალება არ თავსდება ერთ გვერდზე, ასეთ შემთხვევაში მეორე გვერდის საძიებლად დავალების ნომერს ემატება ლათინური ასო - a.

### ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

*არჩევითპასუხიანი დავალებები ერთჯულიანია.*

- |   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

## დავალება 1

სასწავლო პროცესის ჯგუფური დაგეგმვის ეფექტიანობისათვის აუცილებელია გარკვეული მოთხოვნების დაცვა.

სასწავლო პროცესის ჯგუფურ დაგეგმვაში უნდა მონაწილეობდნენ:

- I. ერთი საგნის პარალელური კლასების მასწავლებლები, რათა საჭიროების შემთხვევაში მათ ადვილად შეძლონ ერთმანეთის ჩანაცვლება.
- II. მომიჯნავე საგნების მასწავლებლები, რათა მოსწავლეებმა ადვილად შეძლონ სხვადასხვა საგნის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის გაერთიანება.
- III. მოსწავლეები და მასწავლებლები, რათა დაცული იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპები და მათი ინტელექტუალური უსაფრთხოება.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 2

ჩამოთვლილთაგან ნაწილებით სწავლების შესახებ გამოთქმული რომელი მოსაზრება/მოსაზრებები ეკუთვნის პერკინსს?

- I. საკითხის შესწავლის პროცესი მოსწავლეებისთვის უფრო საინტერესო რომ იყოს, მათ უნდა შეეძლოთ იმ საბოლოო პროდუქტის წარმოდგენა, რომელსაც შემადგენელი ნაწილების შესწავლით მიიღებენ.
- II. შესასწავლი თემა მოსწავლეებისთვის უფრო საინტერესო იქნება, თუ მას განზოგადებულად, დაუნაწევრებლად, ანალიზის გარეშე მივაწვდით.
- III. საკითხის შესწავლისას თავი უნდა ავარიდოთ მის ნაწილებზე განსაკუთრებულ და ხანგრძლივ ფოკუსირებას, რათა მოსწავლის მხედველობის არიდან არ გაქრეს საკითხის მთლიანობა.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ II და III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

### დავალება 3

არსებობს საშინაო დავალების სხვადასხვა სახე: მოსამზადებელი, გარმავეების, პრაქტიკული, ინტეგრირებული და სხვა.

ჩამოთვლილთაგან რომელია ინტეგრირებული საშინაო დავალების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი?

- ა) მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, დაამზადონ კუბისა და პარალელეპიპედის მოდელები.
- ბ) მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, ჩაატარონ ცდა სხეულზე მოქმედი ამომგდები ძალის გამოსათვლელად.
- გ) მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, კონტურულ რუკაზე მონიშნონ დასავლეთ საქართველოში არსებული სასარგებლო წიაღისეული.
- დ) მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, ოპტიკის კანონებზე დაყრდნობით ახსნან, თუ როგორ ჩნდება ბუნებრივი ატმოსფერული მოვლენა ცისარტყელა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 4

პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის მიხედვით, მოსწავლე, რომელიც კონკრეტული ოპერაციების სტადიაზეა, ლოგიკურად აზროვნებს უშუალო გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობის შესრულება გაუჭირდება მოსწავლეს, რომელიც კონკრეტული ოპერაციების სტადიაზეა?

- ა) მოცემული ფიგურების სიდიდის მიხედვით დალაგება.
- ბ) წაკითხული მოთხრობის შინაარსის გადმოცემა.
- გ) ჰიპოთეზური საკითხის ირგვლივ მსჯელობა.
- დ) ჩატარებული ცდის შედეგების აღწერა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 5

მასწავლებლის რომელი ქმედება შეუწყობს ხელს ყველაზე მეტად მოსწავლეს მიზნების სწორად დასახვაში?

- ა) მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა დაუწესოს მაღალი სტანდარტები, რაც გახდის მას უფრო მეტად მოტივირებულსა და თავდაჯერებულს.
- ბ) მასწავლებელმა უნდა შეახსენოს მოსწავლეს, რომ ყოველთვის შეიძლება მიაღწიოს წარმატებას, თუ წინასწარ გაითვალისწინებს და თავიდან აიცილებს მოსალოდნელ შეცდომებს.
- გ) მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა დაუსახოს ადვილად მისაღწევი მიზნები, რათა მას თავიდან ააცილოს წარუმატებლობის განცდა.
- დ) მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა მისცეს საშუალება, თავად დაისახოს მიზნები, რათა შემდეგ შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალურად შეფასება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 6

მოსწავლე ხშირად იწერს დავალებას თანაკლასელებისგან.

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევა დაეხმარება ყველაზე მეტად მასწავლებელს, ისე გაუმკლავდეს მოსწავლის არასასურველ ქცევას, რომ უარყოფითად არ იმოქმედოს მის თვითშეფასებაზე?

- ა) ყურადღება გაამახვილოს ამგვარ ქცევაზე და განუმარტოს მოსწავლეს, რატომ არის ეს ქცევა მიუღებელი და რა შედეგები მოჰყვება მას.
- ბ) თვალი დახუჭოს მოსწავლის ქცევაზე, რადგან იცის, რომ ის სუსტია და ვერ შეძლებს დავალების დამოუკიდებლად შესრულებას.
- გ) აუხსნას მოსწავლეს, თუ არ იზარმაცებს და მეტს იმუშავებს, დამოუკიდებლადაც შეძლებს დავალების შესრულებას.
- დ) თანაკლასელებთან ერთად იმსჯელოს მოსწავლის ქცევაზე, რათა მან აღარ გაიმეოროს მსგავსი ქცევა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44



## დავალება 7

ჯგუფური მუშაობის შესახებ გამოთქმული რომელი მოსაზრება/მოსაზრებებია მართებული?

- I. ჯგუფური მუშაობა ნაკლებად უწყობს ხელს ინიციატივასა და საკუთარი ძალების რწმენას.
- II. ჯგუფური მუშაობისას რთულია თითოეული მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება.
- III. მოსწავლეებს ჯგუფურად უფრო უჭირთ რთული დავალების შესრულება, ვიდრე დამოუკიდებლად.
  - ა) მხოლოდ I
  - ბ) მხოლოდ I და II
  - გ) მხოლოდ II და III
  - დ) მხოლოდ III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 8

მასწავლებელმა გაკვეთილი შემდეგი სიტყვებით შეაჯამა: „ამგვარად, ნაწარმოების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნამდვილ ვაჟკაცს ყოველთვის შეუძლია სხვა ადამიანის პატიება“. ერთ-ერთი მოსწავლე წამოდგა და თქვა: „ჩემი აზრით, ნაწარმოების მთავარი გმირი მხდალი და მშიშარაა, ნამდვილი ვაჟკაცი ყველას საკადრისად გაუსწორდებოდა“.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედებაა ყველაზე ეფექტიანი მოსწავლის კრიტიკული აზროვნების ხელშესაწყობად?

- ა) შეეცადოს მოსწავლის დარწმუნებას ცნობილი ადამიანების მიერ გამოთქმული მოსაზრებების დამოწმებით.
- ბ) მოუწონოს მოსწავლეს გამბედაობა და სთხოვოს კლასს, გამოთქვან მისი თვალსაზრისის საწინააღმდეგო არგუმენტები.
- გ) სთხოვოს მოსწავლეს, დაასაბუთოს საკუთარი თვალსაზრისი და მოიფიქროს საწინააღმდეგო პოზიციის შესაძლო არგუმენტებიც.
- დ) მოუწონოს მოსწავლეს თავისუფალი აზროვნება, მაგრამ კიდევ ერთხელ განუმარტოს, როგორია საზოგადოებაში მიღებული აზრი.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 9

პარალელური კლასების შეერთების შემდეგ მასწავლებელმა შენიშნა, რომ მოსწავლეებს გაუჭირდათ ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობაა ყველაზე ეფექტიანი მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის?

- ა) მოაწყოს დისკუსია თემაზე: „აუცილებელია თუ არა საერთო ინტერესების არსებობა, როდესაც გსურს ვინმესთან დამეგობრება“.
- ბ) დაავალოს მოსწავლეებს, ინდივიდუალურად შექმნან კლასის ემბლემა და ვარიანტები წარმოადგინონ განსახილველად.
- გ) წაიყვანოს მუზეუმში და შერეულ ჯგუფებს დაავალოს ღონისძიების ამსახველი ფოტო-გამოფენის მოწყობა.
- დ) სთხოვოს მოსწავლეებს კითხვარის შევსება, თუ ვისთან დამეგობრებას ისურვებდნენ და რატომ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 10

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაციის გათვალისწინება არ არის აუცილებელი სასწავლო პროექტისათვის თემის შერჩევის დროს?

- ა) სასწავლო პროექტის თემა უნდა იძლეოდეს მრავალმხრივი ანალიზის შესაძლებლობას.
- ბ) სასწავლო პროექტის თემა უნდა მოიცავდეს ერთდროულად რამდენიმე პრობლემას.
- გ) სასწავლო პროექტის თემის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი.
- დ) სასწავლო პროექტის თემა უნდა იყოს მოსწავლეებისათვის საინტერესო.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 11

საგაკვეთილო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაკვეთილის დასაწყისშივე — პროვოცირების (გამოწვევის) ეტაპზე — მოახერხოს მოსწავლეთა აქტიური ჩართვა საგაკვეთილო პროცესში.

ჩამოთვლილ აქტივობათაგან რომელია პროვოცირების საუკეთესო მაგალითი?

- ა) მასწავლებელი უამბობს მოსწავლეებს საინტერესო ისტორიას, რომელიც საფუძვლად დაედო შესასწავლ ნაწარმოებს.
- ბ) მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს საკითხს, განუმარტავს საკვანძო დებულებებს და შესასრულებლად აძლევს საკითხთან დაკავშირებულ მარტივ დავალებას.
- გ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაადგინონ კონკრეტული ეპოქის ტექნიკურ მიღწევებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირები.
- დ) მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს პარაგრაფში მოცემული ძირითადი ცნებების ჩამონათვალს და სთხოვს მათ, მიუწერონ განმარტებები.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 12

სკინერის თეორიის მიხედვით, სასურველი ქცევის განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ე.წ. სოციალური განმამტკიცებელი სტიმული - შექება.

რომელი რეკომენდაცია/რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა, რომ შექებას შედეგად მოჰყვეს ქცევის განმტკიცება?

- I. შეაქეთ მოსწავლე მცირე პროგრესის შემთხვევაშიც.
- II. უთხარით მოსწავლეს კონკრეტულად, მისი რომელი ქცევა იმსახურებს შექებას.
- III. შეაქეთ მოსწავლე მხოლოდ მონაწილეობის გამოც, სამიზნე ქცევის გამოვლენის მიუხედავად.
  - ა) მხოლოდ I
  - ბ) მხოლოდ I და II
  - გ) მხოლოდ II და III
  - დ) მხოლოდ III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26  
27 28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 13

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი დავალება შეუწყობს ხელს მოსწავლეებს პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებაში?

- ა) სამეცნიერო ხასიათის ტექსტის წაკითხვა და თითოეული აბზაცის დასათაურება.
- ბ) ტექსტის წაკითხვა, ორთოგრაფიული შეცდომების აღმოჩენა და შესწორება.
- გ) მათემატიკური ამოცანის ამოხსნა ნასწავლი ფორმულის გამოყენებით.
- დ) ეკოლოგიური კატასტროფების პრევენციის გზების მოფიქრება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 14

პირველკლასელი ანა ამოცანის ამოხსნის დროს თავისთვის ლაპარაკობს.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედება/ქმედებებია ადეკვატური ამ ვითარებაში?

- I. ანას უნდა აცალოს თავისთვის ლაპარაკი, რადგან ამ ასაკში ეს აზროვნებაში ეხმარება.
- II. ანას უნდა სთხოვოს ლაპარაკის შეწყვეტა, რათა ჩვევად არ ჩამოუყალიბდეს და სხვებს ხელი არ შეუშალოს.
- III. ანას სთხოვოს, ჩურჩულით ილაპარაკოს, რადგან საკუთარ თავთან ლაპარაკი მას თვითრეგულაციაში ეხმარება.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ II და III


1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44



## დავალება 15

საკლასო ორგანიზების ფორმა გაკვეთილზე აქტივობის მიზანს უნდა შეესაბამებოდეს.

გთავაზობთ საკლასო ორგანიზების სამ სხვადასხვა ფორმას:



საკლასო ორგანიზების რომელი ფორმის/ფორმების გამოყენებაა უფრო მიზანშეწონილი ახალი მასალის ახსნის დროს?

- ა) მხოლოდ I
- ბ) მხოლოდ I და III
- გ) მხოლოდ II
- დ) მხოლოდ II და III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 16

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი სტრატეგია/სტრატეგიებია ყველაზე ეფექტიანი ახალი ცნებების, ტერმინების გააზრებული დასწავლისათვის?

- I. მასწავლებელი ცდილობს, ახალი ტერმინი ყოველთვის ერთსა და იმავე კონტექსტში გამოიყენოს.
- II. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ახალი ცნების გამოყენებით დაწერონ მცირე მოცულობის ტექსტი (ისტორია, ამბავი).
- III. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, ახალი ცნება ასოციაციურად დაუკავშირონ რაიმე ნაცნობ კონკრეტულ წარმოსახვით ხატს.
  - ა) მხოლოდ I
  - ბ) მხოლოდ I და II
  - გ) მხოლოდ II და III
  - დ) მხოლოდ III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 17

სწავლების ეფექტიანობისა და მაქსიმალური შედეგების მისაღწევად აუცილებელია, მასწავლებელი იყენებდეს შეფასების სანდო, ვალიდურ, ობიექტურ და გამჭვირვალე მეთოდებს.

შეფასების სანდოობაზე გავლენას არ ახდენს:

- ა) დავალების სირთულე
- ბ) შეფასების კრიტერიუმები
- გ) დავალების ინსტრუქციები
- დ) გამსწორებლის კვალიფიკაცია

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში — სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში.

*შესაბამისობის დავალებები ერთჯულიანია.*

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

## დავალება 18

გაკვეთილის ახსნისას მასწავლებლები ხშირად მიმართავენ მასალის მიწოდების ორ ტრადიციულ მეთოდს: დედუქციურსა და ინდუქციურს.

ცხრილის A სვეტში წარმოდგენილია მასწავლებლის აქტივობები, B სვეტში კი - სწავლების მეთოდები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

| მასწავლებლის აქტივობა (A)   | სწავლების მეთოდი (B) |
|---|----------------------|
| I. გეოგრაფიის მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნო ინფორმაცია მესხეთისა და თრიალეთის ქედების, დარიალის ხეობის შესახებ და ამ ინფორმაციის საფუძველზე ახსნა ახალი თემა: რელიეფი და მისი ფორმები. | ა) ინდუქციური        |
| II. ისტორიის მასწავლებელმა აუხსნა მოსწავლეებს, რა არის „იმპერია“ და მოუყვანა ესპანეთისა და საფრანგეთის, როგორც კოლონიური სახელმწიფოების მაგალითი.   | ბ) დედუქციური        |
| III. გეოგრაფიის მასწავლებელმა მზის სითბოსა და ტენის გადანაწილებაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების განმარტებით აუხსნა მოსწავლეებს, რა არის „კლიმატური სარტყელი“.                            |                      |

*\*შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
 28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 19

სწავლის ხარისხის კონტროლისა და გაუმჯობესებისათვის გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ტიპები.

ცხრილის A სვეტში წარმოდგენილია შეფასების მაგალითები, B სვეტში კი - შეფასების ტიპები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

| შეფასების მაგალითი (A)  | შეფასების ტიპი (B)   |
|---|--|
| I. ყოველდღიური დავალებების, ჩართულობისა და პრეზენტაციის შეფასება, როდესაც ვუხსნით მოსწავლეს, როგორ გააუმჯობესოს შედეგი. | ა) მიმდინარე განმსაზღვრელი<br>ბ) მიმდინარე განმავითარებელი       |
| II. რაიმე თემის, პროექტის ბოლოს მიღებული კომენტარი, სიტყვიერი ან რუბრიკით შეფასება.                                     | გ) შემაჯამებელი განმსაზღვრელი<br>დ) შემაჯამებელი განმავითარებელი |
| III. დავალებების შესრულების, გაკვეთილზე ჩართულობის, პროექტის რომელიმე ეტაპის ქულით შეფასება.                            |  |

*\*შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 20

ეფექტიანი სწავლებისათვის მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას.

ცხრილის A სვეტში წარმოდგენილია მასწავლებლის მიერ გამოყენებული სასწავლო აქტივობები, ხოლო B სვეტში კი - სწავლების სტრატეგიები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

| სასწავლო აქტივობა (A)  | სტრატეგია (B)     |
|--|-------------------|
| I. ისტორიის მასწავლებელმა კლასს დაავალა „გლობალიზაციის“ განმარტებისა და სინონიმების მოძიება, შემდეგ კი ინფორმაციის საილუსტრაციოდ მისი გრაფიკული სახით წარმოდგენა.                                      | ა) ანალოგია       |
| II. ფიზიკის მასწავლებელმა ხის ფესვებიდან მისი კენჭეროსკენ წყლის გავრცელების მაგალითზე ახსნა კაპილარული მოვლენები და მოსწავლეებს ახალი ცნებები დაფაზე ჩამოუწერა.  | ბ) სიტყვების რუკა |
| III. ინგლისური ენის მასწავლებელმა კლასის სამ მოსწავლეს გადაუნაწილა ინჟინრის, ექიმის, მხატვრის პროფესიები და დაავალა, თანაკლასელებისთვის ინგლისურ ენაზე გაეცნოთ თავიანთი პროფესიული ცხოვრების ერთი დღე. | გ) სიმულაცია      |
| IV. მათემატიკის მასწავლებელმა მოსწავლეებს მცენარეთა დამტვერვის მაგალითზე აუხსნა ალბათობა.  |                   |

*\*შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

## ინსტრუქცია

ღიადაბოლოებიანი დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

*თითოეული ღიადაბოლოებიანი დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.*

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |



## დავალება 21

მაქსიმალური ქულა - 4

კონსტრუქტივისტული სწავლების თანახმად, სწავლა/სწავლების პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლეზე. კონსტრუქტივიზმის მიხედვით, მოსწავლე სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა და არა ინფორმაციის პასიური მიმღები. სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგია ემყარება პრინციპს, რომლის მიხედვით, მოსწავლის მიერ ნებისმიერი სახის ცოდნის მიღება გულისხმობს სწორედ მოსწავლის მიერ ამ ცოდნის კონსტრუირებას ანუ აგებას. კონსტრუქტივისტულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული გაკვეთილი წარმატებული რომ იყოს, ის გარკვეულ პრინციპებს უნდა ემყარებოდეს.

- დაასახელეთ კონსტრუქტივისტული სწავლების ერთი პრინციპი და განმარტეთ, რა მნიშვნელობა აქვს მას მოსწავლის სწავლისათვის.
- აღწერეთ, როგორი უნდა იყოს მასწავლებლის როლი კონსტრუქტივისტული სწავლების დროს.

*\*პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 22

მაქსიმალური ქულა - 3

დიუის შეხედულებით, განათლების მიზანია არა მხოლოდ ფაქტების სწავლება და ცოდნის ათვისება, არამედ ადამიანის ჩამოყალიბება საზოგადოებისთვის ღირებულ, სასარგებლო წევრად. სწორედ ამიტომ, მის პროგრესულ სკოლა-ლაბორატორიაში თითქმის არ გამოიყენებოდა სწავლების ტრადიციული მეთოდები.

- აღწერეთ მეთოდი, რომელსაც უპირატესობა ენიჭება დიუის სკოლა-ლაბორატორიაში.
- ახსენით თქვენ მიერ აღწერილი მეთოდის უპირატესობა სწავლების ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით.

*\*პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

**დავალებები 23-27 შემდეგ პირობას ეყრდნობა:**

ინტერნეტსივრცეში პედაგოგებმა განათლების სფეროს სიახლეების გასაცნობად შექმნეს ღია ჯგუფი. ჯგუფმა პოპულარობა მოიპოვა მშობლებსა და უფროსკლასელ მოსწავლეებს შორისაც - გაჩნდა შესაძლებლობა, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა არა მხოლოდ მიიღოს საჭირო ინფორმაცია, არამედ სხვებსაც გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები და გამოცდილება, დასვას კითხვები.

ქვემოთ წარმოდგენილია სოციალურ ქსელში განთავსებული რამდენიმე წერილი. ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ თითოეულ წერილში აღწერილი პრობლემის არსი.

**თითოეული წერილი დასათარებელია. სათაური ასახავს დავალებაში წარმოდგენილ პრობლემის არსს.**

თითოეული დავალება (23-27) შეასრულეთ იმ კითხვის/მითითების მიხედვით, რომელიც მას თან ახლავს და პასუხი დაასაბუთეთ.

*თითოეული დავალების მაქსიმალური ქულა არის 3.*

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

ნიშნით წახალისება



თამარ კაპანაძე

დამწყები პედაგოგი ვარ. ვცდილობ, ჩემს მოსწავლეებს სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება ჩამოვუყალიბო, ამიტომ ზოგჯერ მათ ნიშნებსაც ვუმატებ. გამოცდილი კოლეგები კი მეუბნებიან, რომ ასეთ მიდგომას შეიძლება უარყოფითი შედეგები მოჰყვეს.

ამიხსენით, რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს მოსწავლეთა ამგვარ წახალისებას?

მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 14:23-ზე

*\*პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

- 1    2    3    4    5    6    7    8    9    10    11    12    13    14    15    16    17    18    19    20    21    22    23    24    25    26    27
- 28    29    30    31    31a    32    33    34    35    36    37    38    39    40    41    42    42a    42.1    42.2    42.3    43    44

კოგნიტური სტრატეგიები



დოდო თავართქილაძე

ჩემს შვილს ისტორიის მასწავლებელმა ერთ-ერთი ისტორიული წყაროს გაცნობის დროს „სტრატეგია 3, 2, 1“ -ის გამოყენება ურჩია. მასალა ჩემი შვილისთვის რთული აღმოჩნდა. მიმაჩნია, რომ მასწავლებელს ის თავად უნდა აეხსნა მოსწავლეებისთვის. როცა მასალა რთულია, რა აზრი აქვს „სტრატეგია 3, 2, 1“ -ის გამოყენებას?!

იქნებ ამიხსნათ, რატომ არის ეფექტიანი ამ სტრატეგიის გამოყენება, რაიმე უნარს ავითარებს?

 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 16:14-ზე

*\*პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

- |   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

ტოლერანტობა



მანანა ფრანჩუკი

როდესაც კლასში სამშობლოს სიყვარულზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ჩემი თანაკლასელები მეუბნებიან: „შენ ისე მაინც არ გეყვარება საქართველო, როგორც ჩვენ“. მწყინს მათი ამგვარი დამოკიდებულება, თავს გარიყულად ვგრძნობ. მერე რა, რომ ქართველი არა ვარ, საქართველო ხომ ჩემი სამშობლოც არის.

ვფიქრობ, მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ მისი მოსწავლეები უფრო ტოლერანტულები იყვნენ. იქნებ ურჩიოთ, როგორ გააკეთოს ეს?

 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 18:17-ზე

*\*პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

- |   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

კითხვის დასმის სტრატეგიები



მიზა ბაქრაძე

მინდა, რომ მოსწავლეები აქტიურად ჩავრთო საგაკვეთილო პროცესში. ამისთვის წინასწარ ვამზადებ სხვადასხვა დონის შეკითხვებს, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ სწორად ვიყენებ კითხვის დასმის სტრატეგიებს.

რომელი ფაქტორის გათვალისწინება დამეხმარება კითხვის დასმის დროს სასურველი შედეგის მიღწევაში?

 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 19:31-ზე

*\*პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

- |   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

მედიაცია

ლიკა ცხვედაძე



კლასში ხშირად წარმოიშობა ხოლმე კონფლიქტური სიტუაციები. მსმენია, რომ უმჯობესია მოსწავლეებს შორის კონფლიქტის მოგვარების პროცესში მედიატორად მათივე თანაკლასელი იყოს შერჩეული, ისეთი, რომელიც ორივე მხარისათვის მისაღები იქნება. მაგრამ მხარეებს შორის შეთანხმებას რომ ადვილად მიაღწიოს, მედიატორი გარკვეულ ცოდნასა და უნარებსაც ხომ უნდა ფლობდეს?!

მირჩიეთ, რომელი სტრატეგია გამოვიყენო იმისათვის, რომ დავეხმარო მოსწავლეს, გახდეს კარგი მედიატორი?

 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • გუშინ, 14:26-ზე

*\*პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

- |   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |



## ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული დიადაბოლოებიანი დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

*დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.*

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

## დავალება 28

*მაქსიმალური ქულა - 1*

მასლოუს თეორიის მიხედვით, ადამიანი მოთხოვნილებებს იერარქიული თანმიმდევრობით იკმაყოფილებს – მას გადარჩენისათვის ჯერ ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება ესაჭიროება, მხოლოდ ამის შემდეგ გაუჩნდება უსაფრთხოების მოთხოვნილება და ა. შ.

- დაასახელეთ მოთხოვნილება, რომელიც ადამიანისთვის აქტუალური გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას უკვე დაკმაყოფილებული აქვს დაფასების/აღიარების მოთხოვნილება.

*\*პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

## ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

*არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 29

ბიოლოგიის მასწავლებელმა მომდევნო გაკვეთილზე ახალი თემა – ბაქტერიები – უნდა ახსნას. მასწავლებლის მიზანია მოსწავლეების მომზადება ამ საკითხის განსახილველად.

ჩამოთვლილთაგან რომელი დავალება/დავალებები დაეხმარება ყველაზე მეტად მოსწავლეებს საკითხის განხილვისათვის მომზადებაში?

- I. ჩამოწერეთ, რა გსმენიათ ბაქტერიების შესახებ, გამოთქვით ვარაუდები ბაქტერიების დადებითი და უარყოფითი როლის შესახებ ადამიანის ცხოვრებაში.
- II. გაიხსენეთ, როგორ შევისწავლეთ სხვა ცოცხალი ორგანიზმები; შეარჩიეთ კითხვები, რომლებზე პასუხიც ბაქტერიების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის.
- III. შეადარეთ ბაქტერიები ჩვენ მიერ უკვე შესწავლილ ცოცხალ ორგანიზმებს. დაადგინეთ, რა მსგავსება-განსხვავებაა მათ შორის და ცხრილის სახით წარმოადგინეთ.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 30

მოსწავლე უფრო ეფექტიანად სწავლობს მაშინ, როდესაც შეუძლია საკუთარი გონებრივი პროცესების მართვა.

ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედება/ქმედებებია ყველაზე მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ მოსწავლეს განუვითარდეს მეტაკოგნიტური უნარები?

- I. საკუთარი ქმედების სასწავლო მიზნებთან შესატყვისობის შეფასება უფრო კომპეტენტური ადამიანების დახმარებით.
- II. მეცადინეობისათვის განკუთვნილი დროის სწორად განაწილება და მონიტორინგი.
- III. ყურადღების მობილიზება და მისი ფოკუსირება შესასრულებელ დავალებაზე.
  - ა) მხოლოდ I
  - ბ) მხოლოდ I და II
  - გ) მხოლოდ II და III
  - დ) მხოლოდ III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 31

ქვემოთ წარმოდგენილია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

**მიზანი:** სემესტრული შეფასება.

**აქტივობა:** მასწავლებელმა მოსწავლეებს აცნობა, რომ განვილილ მასალაზე ტესტირების ჩატარებას გეგმავდა. მან მოსწავლეებს სთხოვა, ყურადღებით მოჰკიდებოდნენ სამუშაოს, რადგან ტესტირების შედეგად მიღებული ქულა მათი სემესტრული ნიშანი იქნებოდა. მასწავლებელმა მოსწავლეებს შეფასების სქემა მუშაობის დაწყებამდე გააცნო.

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

აღნიშნული აქტივობა დასახული მიზნის:

- ა) **ადეკვატურია**, რადგან მოსწავლეებისათვის ტესტირების დაწყებამდე შეფასების სქემის, კრიტერიუმებისა და ქულების რაოდენობის გაცნობა აუცილებელია შეფასების ვალიდურობისთვის.
- ბ) **ადეკვატური არ არის**, რადგან ტესტირების შედეგად მიღებული შეფასება არ შეიძლება იყოს საბოლოო სემესტრული ნიშანი, ის შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასების მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია.
- გ) **ადეკვატურია**, რადგან განვლილი მასალის გამოკითხვისათვის ყველაზე ეფექტიანი საშუალება არის ტესტირება, ის იძლევა ამომწურავ ინფორმაციას მოსწავლეების ცოდნის შესახებ.
- დ) **ადეკვატური არ არის**, რადგან ტესტირების დროს ყველა მოსწავლე ერთნაირად ვერ ახერხებს ყურადღების მობილიზებას, რაც ხელს უშლის ცოდნის გამოვლენაში, ამიტომ მისი შედეგი ვერ იქნება განმსაზღვრელი შეფასება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 32

უზნაძის თეორიის ძირითადი პრინციპის მიხედვით, მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად ყველაზე მნიშვნელოვანია პედაგოგმა:

- ა) გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა მექანიზმი და დაარწმუნოს მოსწავლე საკუთარ ძალებში.
- ბ) წარმოაჩინოს საკითხის მნიშვნელობა და დაუკავშიროს იგი მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებას.
- გ) გამოიყენოს სწავლების სხვადასხვა სტრატეგია და დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი ცოდნის ორგანიზებაში.
- დ) შექმნას ისეთი წინაპირობები, რომ მოსწავლეს ინტელექტუალური მოთხოვნილება ცოდნის წყურვილში გადაეზარდოს.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44



### დავალება 33

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობა შეუწყობს ხელს შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას?

- ა) მოსწავლეები იხსენებენ მოვლენის პრაქტიკაში გამოყენების კონკრეტულ მაგალითს.
- ბ) მოსწავლეები იკვლევენ ორ მოვლენას შორის არსებულ მიზეზშედეგობრივ კავშირებს.
- გ) მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს მოვლენის განვითარების შესაძლო გზების შესახებ.
- დ) მოსწავლეები ადარებენ ერთმანეთს ორ მოვლენას და ადგენენ მათ შორის მსგავსება-განსხვავებას.

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

### დავალება 34

კლასში კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად მასწავლებელი, პირველ რიგში, ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებს შორის პოზიტიური და მხარდამჭერი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ხშირია შემთხვევა, როდესაც კლასის რომელიმე მოსწავლე თანაკლასელებისგან გარიყულია, არ ჩხუბობს მათთან, მაგრამ სიტუაცია მუდმივად დაძაბულია.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია/სტრატეგიები შეუწყობს ხელს ყველაზე მეტად ასეთი მოსწავლის კლასთან ინტეგრაციას?

- I. მოსწავლეები მეგობრობას სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით უკეთ სწავლობენ. მხატვრული ლიტერატურის გამოყენება ეფექტურადაა შესაძლებელი ბავშვების ერთმანეთთან ურთიერთობის ხელშესაწყობად.
- II. ჯგუფური მუშაობის დროს მასწავლებელს შეუძლია გარიყული ბავშვი დააჯგუფოს პოპულარულ მოსწავლესთან, რაც დადებით გავლენას იქონიებს გარიყული ბავშვის სტატუსზე.
- III. მასწავლებელი მუდმივად უნდა მუშაობდეს გარიყულ მოსწავლესთან და ცდილობდეს მის დარწმუნებას, რომ კლასისგან გარიყვის მიზეზები საკუთარ თავში მოძებნოს და გამოასწოროს.

ა) მხოლოდ I და II

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ III

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

## დავალება 35

ჰუმანისტური თეორიის მიხედვით:

- ა) მასწავლებელი ინფორმაციის, ცოდნის გადამცემია. ის არჩევს მასალას და ქმნის პირობებს სწავლისათვის, მოსწავლეები კი ამ ცოდნას ნაბიჯ-ნაბიჯ ითვისებენ.
- ბ) მასწავლებელი სასწავლო პროცესის წარმმართველია. ის აძლევს მოსწავლეებს მითითებებს და მიჰყავს ისინი სწორ პასუხამდე.
- გ) მასწავლებელი პარტნიორია ცოდნის შეძენის პროცესში. ის მოსწავლეებთან ერთად გეგმავს სამუშაოს და აძლევს მათ არჩევანის შესაძლებლობას.
- დ) მასწავლებელი დამკვირვებელია. მოსწავლეები სწავლობენ და ვითარდებიან ყოველგვარი შეზღუდვისაგან თავისუფალ გარემოში.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 36

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა ეფექტიანი სწავლებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა სწავლების პროცესში გარკვეული პირობები დაიცვას.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობის დაცვაა აუცილებელი სსსმ მოსწავლის ეფექტიანი სწავლებისათვის?

- ა) მასწავლებელმა შენიშვნის მიცემისაგან თავი უნდა შეიკავოს, უყურადღებოდ დატოვოს სსსმ მოსწავლის ქცევა.
- ბ) მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, თუ რისი გაკეთება შეუძლია სსსმ მოსწავლეს და ამის საფუძველზე შეადგინოს მასთან სამუშაო გეგმა.
- გ) მასწავლებელმა სსსმ მოსწავლეს უნდა დაანახვოს, რომ თანაკლასელებთან ერთად თავადაც განსაკუთრებულად ზრუნავს მასზე.
- დ) მასწავლებელს სსსმ მოსწავლისათვის უნდა ჰქონდეს მომზადებული სახალისო დავალებები, რათა მან გაკვეთილის მიმდინარეობას ხელი არ შეუშალოს.

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

## დავალება 37

კრიტიკულ სიტუაციებში მასწავლებელი ცდილობს, მოსწავლეებს ისე ესაუბროს, რომ მისი მსჯელობა მისაღები და გასაგები იყოს მათი მორალური განვითარების სტადიიდან გამომდინარე.

*როდესაც ერთ-ერთმა მოსწავლემ თანაკლასელს მეგობრების თანდასწრებით შეურაცხყოფა მიაყენა, მასწავლებელმა ის გაკვეთილების შემდეგ დატოვა და უთხრა: „რასაც დასთეს, იმას მოიმკი, ხვალ ან ზეგ სამაგიეროს რომ გადაგიხდის, ჩემთან ნუ დაიჩივლებ.“*

მორალური განვითარების რომელ საფეხურზე უნდა იყოს მოსწავლე, რომ მისთვის გასაგები იყოს მასწავლებლის შენიშვნა?

ა) პოსტკონვენციურ დონეზე - უნივერსალური ეთიკური პრინციპი.

ბ) პრეკონვენციურ დონეზე - ინსტრუმენტული ფარდობითობა.

გ) პოსტკონვენციურ დონეზე - სოციალური კონტრაქტი.

დ) კონვენციურ დონეზე - კანონი და წესრიგი.

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

## დავალება 38

თვალსაჩინოების, როგორც სასწავლო რესურსის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელია მართებული?

- ა) თვალსაჩინოება მხოლოდ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების დროს უნდა გამოიყენებოდეს.
- ბ) თვალსაჩინოების გამოყენება ეხმარება მოსწავლეს სამყაროს ვიზუალური აღქმის უნარის განვითარებაში.
- გ) თვალსაჩინოების შექმნასა და მომზადებაზე, როგორც წესი, იხარჯება დამატებითი, არასაგაკვეთილო დრო.
- დ) თვალსაჩინოების გამოყენება ეფექტიანია მხოლოდ იმ ასაკში, როცა მოსწავლის აზროვნება თვალსაჩინო-ხატოვანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 39

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაციის გათვალისწინებაა მიზანშეწონილი, როცა თქვენ კონფლიქტის მოსაგვარებლად *კომპრომისის* სტრატეგიას ირჩევთ?

- ა) შეეცადეთ, აირიდოთ წინააღმდეგობა და სიტუაციის შესატყვისად შეცვალოთ თქვენი ქცევა.
- ბ) იმუშავეთ თქვენი მოწინააღმდეგის პოზიციაში ისეთი ნიუანსების მოძიებაზე, რაზეც შეძლებთ დათანხმებას.
- გ) დააკვირდით, როგორ ვლინდება კონფლიქტი ქცევაში, რა მოსდევს შედეგად და როგორ ემოციებს იწვევს იგი.
- დ) შეხვედრამდე კარგად მოიფიქრეთ, რას ეტყვით მოწინააღმდეგეს, მოკლედ და ნათლად ჩამოაყალიბეთ თქვენი მოთხოვნა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 40

პროფესიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია კვლევა და მის შედეგებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება. კვლევის ერთ-ერთი მეთოდია ინტერვიუ.

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევა დაეხმარება მასწავლებელს ინტერვიუს მეთოდის გამოყენების დროს?

- ა) ხშირად გამოხატეთ დადებითი ემოცია, რათა რესპონდენტი არ დაბრკოლდეს და თავისუფლად შეძლოს აზრის გამოხატვა.
- ბ) ინტერვიუს დროს არ მოგერიდოთ საკუთარი პოზიციის გამოხატვა - ეს ხელს შეუწყობს რესპონდენტის „გახსნას“.
- გ) თავიდანვე დაუსვით რესპონდენტს დახურული კითხვები, რათა სწრაფად მიიღოთ ამომწურავი ინფორმაცია.
- დ) პერიოდულად გაიმეორეთ რესპონდენტის ნათქვამი, რათა დარწმუნდეთ, რომ სწორად გაიგეთ მისი პასუხი.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44



## დავალება 41

ბრუნერის თეორიის მიხედვით, მასწავლებლის რომელი ქმედება შეუწყობს ხელს ყველაზე მეტად მოსწავლის შემეცნებითი ინტერესების გაღვივებას?

- ა) მასწავლებელმა სთხოვოს მოსწავლეს, ბოლომდე წაიკითხოს ახალი მასალა და თავად შეადგინოს კითხვები მის გასააზრებლად.
- ბ) მასწავლებელმა მოსწავლეებს აუხსნას, რომ A ნივთიერება არ შედის რეაქციაში B-სთან და ამის სადემონსტრაციოდ ცდაც ჩაატაროს.
- გ) მასწავლებელმა მოსწავლეს სთხოვოს ექსპერიმენტის შედეგების პროგნოზირება, პროცესზე უშუალო დაკვირვება და მიღებული შედეგების შეჯამება.
- დ) მასწავლებელმა მოსწავლეებს მიაწოდოს ვრცელი და ამომწურავი ინფორმაცია შესასწავლი საკითხის შესახებ, შემდეგ კი სთხოვოს, დაუსვან მას კითხვები.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## ინსტრუქცია

დავალებებს 42.1, 42.2 და 42.3 უპასუხეთ მოცემული ტექსტის მიხედვით:

42.1 - დავალება არჩევითპასუხიანია და 1 ქულით ფასდება.

42.2 და 42.3 - დავალებები ღიადაბოლოებიანია. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა (ტექსტი) და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

*თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა - 3.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 42

ნაყოფიერი საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას მოსწავლეებმა იციან, რისი უფლება აქვთ და რას უნდა ელოდონ თავიანთი თანაკლასელებისაგან, იციან, ქცევის როგორი წესებია კლასში (Danielson, 2013: 16). მაგრამ მნიშვნელოვანია, როგორ მივაწვდით ამ წესებს მოსწავლეებს. როგორც კვლევა გვიჩვენებს, წესების დანერგვა კომპლექსური პროცესია და მოსწავლეებისათვის არა მხოლოდ წესების გაცნობას, არამედ ამ წესების დაცვის ნებისა და უნარის გამოხატვასაც მოითხოვს. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაიზიარონ კლასის წესები, მნიშვნელოვანია, რომ წესები ისე ავუხსნათ, როგორც აკადემიურ კონცეფციებს ვუხსნით და ვაჩვენოთ წესების ლოგიკა და საფუძველი (Doyle, 1986).

მოსწავლეების ქცევის ტიპური დარღვევებია: დაგვიანება, გაკვეთილების გაცდენა, სასწავლო მასალის გარეშე გამოცხადება, უყურადღებობა, საუბარი და გადაძახება, სიტყვიერი და ფიზიკური აგრესიის რბილი ფორმები. (Metz, 1978). არასასურველი ქცევების გამოვლენა დამოკიდებულია საკლასო აქტივობაზე, გაკვეთილის პერიოდსა და მოსწავლის ტიპზე. მაღალუნარიანი მოსწავლეები არასასურველ ქცევებს ავლენენ ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლისას და საგაკვეთილო სეგმენტის ბოლოს, დაბალუნარიანი მოსწავლეები კი - საგაკვეთილო სეგმენტის შუაში (Rusnock & Brandler, 1979). მასწავლებელს უნდა შეეძლოს რეაგირების სწორი ფორმისა და დროის შერჩევა, მაგალითად, რიგ შემთხვევებში უმჯობესია, მასწავლებელმა თავი შეიკავოს რეაგირებისაგან.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

როგორც ერთ-ერთ კვლევაში მონაწილე მასწავლებელზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, მან დღის განმავლობაში იმდენჯერ შეწყვიტა სასწავლო აქტივობა მოსწავლის ქცევაზე რეაგირების მიზნით, რომ ამ კლასში მოსწავლეების მიერ სასწავლო აქტივობებზე დახარჯული დრო საგაკვეთილო დროის მხოლოდ 25%-ს შეადგენდა (Kounin,1983). მნიშვნელოვანია რეაგირების ფორმაც. მოკლევადიან პერსპექტივაში სიტყვიერმა შენიშვნამ თუ სხვა ფორმის დასჯამ, რომელიც საჯარო და პერსონალურია, შესაძლოა, შედეგი გამოიღოს. ამიტომ მასწავლებლები ხშირად მიმართავენ ამ მეთოდს. თუმცა მასწავლებლის მიერ შენიშვნებისა და დასჯის ხშირი გამოყენების გრძელვადიანი ეფექტი უკიდურესად დესტრუქციულია, რადგან მოსწავლეები კარგავენ შენიშვნების მიმართ მგრძობიანობას და იმისათვის, რომ შენიშვნამ ან დასჯის სხვა ფორმამ მოსწავლეზე გავლენა იქონიოს, მასწავლებელს უწევს დასჯის ფორმის გამკაცრება. შედეგად, მასწავლებელი ექცევა ე. წ. კრიტიკის ხაფანგში. მოსწავლეების არასასურველ ქცევაზე რეაგირებისას მნიშვნელოვანია, რომ შევეხოთ კონკრეტულ ქცევას და არა მოსწავლეს. (Danielson, 2013: 16).

*(„სახელმწიფო შეფასება, საბუნებისმეტყველო საგნები (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია)*

*მე-9 კლასი“, ანგარიში,*

*შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2016)*

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

## დავალება 42.1

ტექსტში აღწერილი კვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- ა) წესების ლოგიკისა და საფუძვლის ჩვენება ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ წესების უკეთ გააზრებას, მათ ეფექტიან დაცვას.
- ბ) საჯარო და პერსონალური შენიშვნის მიცემა სასურველ ეფექტს იძლევა მხოლოდ დაბალუნარიანი მოსწავლეების შემთხვევაში.
- გ) მასწავლებელი რეაგირების ფორმისა და დროის შერჩევას, პირველ რიგში, უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლის აკადემიურ მიღწევებს.
- დ) არასასურველი ქცევის იგნორირება სასურველ ეფექტს გვაძლევს როგორც მაღალუნარიანი, ისე დაბალუნარიანი მოსწავლეების შემთხვევაში.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27  
28 29 30 31 31a 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 42a 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 42.2

მაქსიმალური ქულა - 3

- ჰუმანისტურ თეორიაზე დაყრდნობით ახსენით, რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ მოსწავლის არასასურველ ქცევაზე რეაგირებისას შევხვით მის ქცევას და არა - თავად მოსწავლეს. *დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.*

*\*პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

### დავალება 42.3

მაქსიმალური ქულა - 3

ტექსტის მიხედვით, რიგ შემთხვევებში უმჯობესია, რომ მასწავლებელმა თავი შეიკავოს მოსწავლის არასასურველ ქცევაზე რეაგირებისაგან, ანუ გამოიყენოს იგნორირების სტრატეგია.

– ახსენით, რა შემთხვევაშია იგნორირების სტრატეგია ეფექტიანი. *დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.*

*\*პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

## ინსტრუქცია

ღიადაბოლოებიანი დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

*თითოეული ღიადაბოლოებიანი დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.*

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |



## დავალება 43

მაქსიმალური ქულა - 3

ბრუნერის მოსაზრების თანახმად, თუ ჩვენ ვიცით ბავშვის „ენა“ და ამ „ენაზე“ დავამყარებთ მასთან კონტაქტს, შევძლებთ, ნებისმიერ ბავშვს შევასწავლოთ ნებისმიერი საკითხი და დავეხმაროთ მას აზროვნების უფრო მაღალ დონეზე გადასვლაში.

- აღწერეთ სწავლების მეთოდი, რომელსაც გვთავაზობს ბრუნერი მოსწავლეთა ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისი სწავლებისათვის.
- ახსენით, როგორ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ აღწერილი მეთოდი მოსწავლის კოგნიტურ განვითარებას.

*\*პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |

განათლების ფსიქოლოგიაში ტერმინი „მოტივაცია“ გამოიყენება მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის, მისი სწავლის მიმართ ინტერესისა და დადებითი განწყობის აღნიშვნისათვის. პედაგოგი სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ანიჭებდეს მოსწავლეთათვის მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შექმნას, რათა მათ მაქსიმალურად შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა და მიაღწიონ წარმატებას.

- დაასახელეთ მოტივაციის ამაღლების ორი სტრატეგია.
- განმარტეთ, როგორ შეუწყობს ხელს მოსწავლეებს სწავლის მოტივაციის ამაღლებაში თქვენ მიერ დასახელებული თითოეული სტრატეგია.

*\*პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

|   |    |    |    |    |     |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |    |     |      |      |      |    |    |    |    |    |    |
|---|----|----|----|----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|------|------|------|----|----|----|----|----|----|
| 1 | 2  | 3  | 4  | 5  | 6   | 7  | 8  | 9  | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18  | 19   | 20   | 21   | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
|   | 28 | 29 | 30 | 31 | 31a | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 42a | 42.1 | 42.2 | 42.3 | 43 | 44 |    |    |    |    |